ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს

| თთვე | | მან. | კ. | თთვე | | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | . . | 10 | — | 6 | . . | 6 | — |
| 11 | . . | 9 | 50 | 5 | . . | 5 | 50 |
| 10 | . . | 8 | 75 | 4 | . . | 4 | 75 |
| 9 | . . | 8 | — | 3 | . . | 3 | 50 |
| 8 | . . | 7 | 25 | 2 | . . | 2 | 75 |
| 7 | . . | 6 | 50 | 1 | . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1887 წელიწადი

## „ივერიის" დეპეშა

29, ოკტომბერს დილით

✠

**სტავროპოლი.** უბედური დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი, როგორც ეტყობა, მძინარეა მოკლული. თავში დაუციათ რაღაც რამ მძიმე და რგვალი. თავისა და პირი-სახის ნახევარ მხარეზე ძვლები სულ დამსხვრეული აქვს. დაკვრის უმალვე განუტევებია სული; მერმე ხელ-ფეხი შეუკრავთ.

ბალსამოთი შეზავებული გვამი ვენია ფიცრის კუბოში. ლითონის კუბო შეკვეთილია. ნება-რთვა გვამის საქართველოში წამოსვენებისა ჯერ გამოტანილი არ არის.

**ვლადიკავკაზი.** დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი მოუკლავთ ღამე, 24 ოქტომბერს, მძინარე. თავში დაუციათ სასწორის ქვა (гиря). ოთხს კაცზე მიუტანიათ გუმანი და დაუჭერიათ კიდეც.

**სტავროპოლი, 29 ოქტომბერს საღამოთი.** მოგვივიდა ნება-რთვა განსვენებულის ყიფიანის გვამის წამოსვენებისა სამშობლოში.

---

დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანი უღრმესის მწუხარებით აუწყებს თავისის ბიძის

**დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის**

**გარდაცვალებასა**

და უმორჩილესად სთხოვს მისთა ნათესავთა, მახლობელთა, ნაცნობთა და პატივის-მცემელთა მობრძანდნენ პანაშვიდზედ ქაშუეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში პირველს ნოემბერს, კვირას, დილის თერთმეტს საათზედ. (4—2)

---

ტფილისი, 29 ოქტომბერი

ჩვენ ვგონებთ, საკმაოდ ნათლად აღვნიშნეთ ის ძველისა და ახლის შემაერთებელი გზა, რომელსაც ჩვენი მწერლობა გვერდს ვერ აუხვევს, თუ ენის წარმატება უნდა. თუ აუხვია, მაშინ უნაყოფო ხეს დაემგზავსება ხილს არ მოისხამს და ეს ხომ ცოცხალის ენის სიკვდილია, ცოცხალის ენის ცოცხლად დამარხვაა. ეს ერთად-ერთი გზა ძნელი და რთულია. იგი ბევრსა და დიდის ხნის შრომასა და ბეჯითობას მოინდომებს; საჭიროა გამორჩევით და ჩაფიქრებით მოქმედება. ვისურვოთ, რომ შეგნებულნი ქართველნი დაადგნენ ამ გზას და სამერმისოდ მაინც გაუკვალონ გზა ქართულს ენასა და მწერლობას. ჩვენ ვფიქრობთ, იმოდენად ნათლად წარმოვთქვით ჩვენი აზრი, რომ მკითხველიც ცხადად წარმოიდგენს და ცოტად თუ ბევრად დაგვეთანხმება.

ჩვენ დავასახელეთ უმთავრესი და დიდი შარა გზა, რომლითაც უნდა მსვლელობდეს ჩვენი მწერლობა, მაგრამ ამის გამო არავინ იფიქროს, ვითომ ჩვენ უარს ვყოფდეთ უცხო ენათა ზედ-მოქმედების საჭიროებას ჩვენს ენაზე, როცა ამას მოითხოვს თვით ენისა და მწერლობის წარმატება. არავინ დაგვწამოს, ვითომ ჩვენ ვურჩევდეთ ჩვენს მწერლობას მხოლოდ საკუთარს წრეში მოძრაობას. არა, ეს ყოვლად შეუძლებელი საქმეა და არ ა. ის დედა-მიწის ზურგზედ არც ერთი ისეთი ენა, რომელშიაც უცხო ელემენტები არ მოიპოვებოდეს; ვერსად ვერ ნახავთ ორს იმისთანა ენას, რომელნიც ერთმანერთს შორის არ აღებ-მიცემობდნენ. ეს აღებ-მიცემობა, თუ კანონიერად და საჭიროების მიხედვით სწარმოებს, სახსარია ენის გამდიდრებისა, გაძლიერებისა და გამშვენიერებისა და არა გაღარიბებისა და დაუძლურებისა.

მაშასადამე ჩვენს ენასაც ეჭირვება უცხო ენათა დახმარება და შეწევნა, ესე იგი, გარდა იმ დიდის შემაერთებელის შარა გზისა, რომელიც ჩვენ მოვიხსენიეთ, არის კიდევ ერთი მიმდინარეობა, რომელიც იმ დიდს შარას ერთვის, ვითარცა ტოტი მდინარესა.

როგორც ვთქვით, არ მოიპოვება არც ერთი ენა, რომელსაც უცხო ელემენტები არ შეეთვისოს; რამდენადაც მეტი უცხოვრნია რომელსამე ერს და რაც მეტი მისვლა-მოსვლა და განწყობილება ჰქონია სხვა ერებთან, მით უფრო მომეტებული უცხო ელემენტი მოიპოვება იმის ენაში. ამ ელემენტების მიღება და შეთვისება იმოდენადვე საჭირო და აუცილებელია, რამდენადაც საჭირო და აუცილებელია მისვლა-მოსვლა და სხვა გვარი განწყობილება ერთა შორის.

მეცნიერების მიერ აღიარებულია, რომ ის ენა, რომელიც მარტო თავის საკუთარს საზღვრებშია მომწყვდეული, მარტო შინ არის ჩაკეტილი და რომელიც, როგორც ფუტკარი ღალასა, საზრდოებას სხვაგნიდამაც არ ეზიდება, რომელსაც, ერთის სიტყვით, არაფერი აუღია სხვისაგან და არც თავისი მიუცია, ღარიბი და უკან ჩამორჩომილია. მართლადაც, დაუკვირდით ევროპიულ ენებსა და მათს მდიდარს მწერლობას, და თქვენ უეჭველად დაინახავთ, თუ თვითოეულს მათგანში რა დიდი მონაწილეობა აქვს უცხო ენათა გავლენას და ზედ-მოქმედებასა: ყოველს ენას, რომელიც-კი სხვას შეჰხვედრია, სხვა ენისაგან თავისი ღალა აუღია და თვითონაც დაუთმია სხვისათვის.

ამ გვარად ენა მკვიდრი სიგელია თვითოეულის ერის თავ-გადასავალისა, იგი იმისი ისტორიაა, რომელშიაც შეგიძლიანთ ამოიკითხოთ, რომელს ერს რომელ ერთან სულიერი და ხორციელი აღებ-მიცემობა ჰქონია, რა გზით მიდიოდა ან ერთის ან მეორის წარმატება, სად სხვისით გამოდიოდა და სად თავისით.

ეხლა ვუჩვენოთ მკითხველს, თუ როდის და რა შემთხვევაში ეჭირვება რომელსამე ენას უცხო ელემენტების შეთვისება. ყველა ერს, გარდა საყოველთაო, საზოგადო ადამიანურის თვისებისა, ხასიათისა, აქვს საკუთარი, განსაკუთრებული ხასიათი და თვისება. სხვა-და-სხვა ერის წარმატება, ერთ ნაირად, ერთ ზომით და ერთ ხნობით არ მიმდინარებს: ერთმანერთს ხან უსწრობენ და ხან უკანა რჩებიან.

ეს გარემოება დაემჩნევა ხოლმე ენასაც. თუ ამ წინა-უკანა მსვლელობაში ისტორია მისვლა-მოსვლის და მიდენ-მოდენის ხიდს გასდებს ერთა შორის სამეცნიერო სფერაში თუ საპოლიტიკოში, მაშინ უეჭველია ერთის ენამ მეორისა არა შეითვისოს-რა და ძით არ გამდიდრდეს.

ამ გზას, რომ მოვერიდნეთ, ხელიც უნდა ავიღოთ ყოველს იმაზე, რაც კაცობრიობის აზრიანობას შეუქმნია კაცთათვის საზოგადოდ. ასე რომ ძოვიქცეთ, რამოდენა სიმდიდრეს მოკლებულნი ვიქნებით და რამოდენა გარჯა და ბეჯითობა გვინდა, რომ ამ აზრიანობას ჩვენის საკუთარის შრომით მივწვდეთ. იმას აღარ ვიტყვით, რომ თვით მიწვდომაც შეუძლებელია. ამ შევსების გზით ირჩენს თავს არამც თუ უკან ჩამორჩომილი ენა, ზოგჯერ თვით წარმატებული ენაც-კი იღებს ღალას უკან ჩამორჩომილ ენისაგან. თვითოეული, ცალკე ენა ნაყოფია კაცობრიობის გენიოსობისა და ამიტომაც ყოველს ენაში, რა ხარისხზედაც უნდა იდგეს, ცოტად თუ ბევრად, მოიპოვება ზოგიერთი იმისთანა რამ, რომელიც სანატრელია მეორისათვის. ხოლო ის, რაც ჩვენს ენაშივეა, უნდა ვირჩიოთ, ვამჯობინოთ სხვისას და ამიტომაც სხვისი ენა უნდა მოვიშველიოთ დიდის სიფრთხილით და გამორჩევით. ამ სიფრთხილით და გამორჩევით სვლა არ უნდა ეგიყინებოდეს არავის, როცა საკუთარი ენა ამისათვის საკუთარს საგზალს არ იძლევა.

გარდა ამისა არის მრავალი იმისთანა სიტყვები, რომლებსაც შეგვიძლიან ვუწოდოთ საყოველთაო სიტყვები, რადგანაც იგინი ერთი და იგივენი არიან ყველა დაწინაურებულ ენათათვის. ამ სიტყვების არ მიღება სწორედ რომ შეუწყნარებელია. მათ მაგიერ ხელ-ახლად სიტყვების შექმნა, ჩვენის ფიქრით, უქმი შრომა იქმნება.

რაც ზემოდა ვსთქვით, იქიდგან მკითხველი აშკარად დაინახავდა, რომ ქართულმა ენამაც უნდა შეითვისოს ლექსიკური ელემენტები სხვა ენებისაგან. ამ მხრით მარტო იმისთანა სიტყვებია ჩვენის ენისათვის შესაწყნარებელი, რომელთაც სწორი არ მოეპოვებათ არც ჩვენს მწერლობასა და არც სასაუბრო ენაში. ვიმეორებთ, იმ საქმის წარსამატებლად, რომელსაც ჩვენ ეს წერილები მოვანდომეთ, თავი და თავი საქმე გამორჩევა და დაკვირვებაა და არა უარ-ყოფა ძველისა სიძველისათვის და მიღება ახალისა და უცხოისა სიახლისა და სიუცხოისათვის.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** ჩვენის ქვეყნის ქალაქებიდამა და სოფლებიდამ მრავალი დეპეშა მოგვდის რედაქციაში და გვთხოვენ განსვენებულის **დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის** სახლობასა და ნათესავთა გამოვუცხადოთ გაზეთის საშუალებით უღრმესი მწუხარება ასეთის უძვირფასესის დანაკარგის გამო. იგინი გულ-წრფელად გლოვობენ გარდაცვალებასა ჩვენის ქვეყნის უკეთესის შვილისასა.

*** 29 ოქტომბერს მცხეთის სობოროში გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი განსვენებულის კნეინა ნინა მუხრან-ბატონისა, უგანათლებულესის დადიანის ასულისა. მოწვეულ იქმნა ეპისკოპოსი სამეგრელოსი, ყოვლად სამღვდელო გრიგოლი, სამეგრელოს სამღვდელოებით, და აგრეთვე აქაური სამღვდელოებაცა. ტფილისიდამ ბევრი ხალხი წავიდა წირვასა და პანაშვიდზე დასასწრებლად.

*** ჩვენს მკითხველებში ბევრს არ ეკითხებათ კირის საქმე, რადგან არ უჭირთ კირი. მაგრამ ცნობის-მოყვარეობისათვის ურიგო არ იქნება იცოდეს კაცმა, როგორ არის დაყენებული ეს საქმე ტფილისში. უმეტესად კირი სოფლებიდამ ჩამოაქვთ გლეხ-კაცებსა და ჰყიდიან ქალაქელებზე.

ერთის შეხედვით, აქ საყურადღებო არა უნდა იყოს-რა. გლეხები სწვავენ კირსა, მერე უდებენ ურმებზე, ჩამოაქვთ ტფილისში და ჰყიდიან. მორჩა და გათავდა. თითქო მეტიც არა უნდა იყოს-რაო აქა. მაგრამ აბა ერთი ჩაიხედეთ ამ საქმეში, გაუსინჯეთ კბილი და მაშინა ჰნახავთ, რამოდენა უკანონობა, უსამართლობა და უწესოება ტრიალებს ამ უბრალო და სად აღებ-მიცემობაში.

თითქმის იშვიათია მაგალითი, რომ გლეხმა თავისუფლად გაჰყიდოს თავისი ნაწარმოები კირი და ან მყიდველმა პირდაპირ გლეხისაგან იყიდოს ეს მასალა. ისე სოფლის სხვა ნაწარმოების გასაღებაში არ არიან შეხუთულნი გლეხები, როგორც ამ კირის ვაჭრობაში. დალალები დაწრწიან მთელს ქალაქში და იციან, სად რა შენობა კეთდება და ვის რამდენი ურემი კირი უნდა. წინადვე ურიგდებიან მუშტარსა, ბესაც იღებენ და შემდეგ დამშეულ მგლებივით ელოდებიან კირის პატრონებს. გაჩნდება თუ არა კირის ურემი, მაშინათვე ეცემიან გლეხსა და ჯერ დაუწყობენ კირის დაფოლებასა, მერე ჩამოუგდებენ ლაპარაკს იმის თაობაზე, რომ საზოგადოდ ძალიან დაიწია კირის ფასმა, რომ სახლებსაც ეითომც ნაკლებ აშენებენ ტფილისში და სხვანი.

ესეები სულ ტკბილისა და თანაგრძნობის კილოთი მოჰხსენდება გლეხსა და ულოცნებს მას უმისოდაც გაუხარებელს გულს. მუშტარი არსადა სჩანს და გლეხი მაინც ელის.

ამ ლოდინში გამოტყვრება უცებ ერთი გამოჩენილი არუთინა, რომელსაც ტფილისში მეტ სახელად ჰქვიან „ხაშლამა" და რომელსაც ყოველი მეკირე გლეხი კარგად იცნობს. ეს „ხაშლამა" თითქო მხსნელია გაჭირვებულის გლეხისა; გულ-კეთილ კაცად არის ცნობილი და ამიტომ გაჭირვებულს კაცს თამამად ეუბნება: „რა ქნა, გიგოლა, რომ არ გიშველო! წამოდე და დაცალე ამა-და-ამ ადგილას. იქნება როგორმე არ ვიზარალო და მაგ ფასად გავყიდო". რასაკვირველია, ფასს სულ უკანას-

კნელს ეუბნება. თუმანი რომ ღირდეს ურემი, „ხაშლამა“ ხუთსა და ექვს მანათზე მეტს არასოდეს არ მისცემს. გლეხსაც მიაქვს დანიშნულს ადგილზე, საცა დალალს წინადვე გარიგებული აქვს საქმე, სცლის კირსა და მიდის უნუგეშოდ თავის სახლში.

საზოგადოდ ეს „ხაშლამა“ არა თუ დალალია კირის საქმეში, ის არის ბატონი და პატრონი კირის ვაჭრობისა. უამხაშლამოდ არავის არ შეუძლიან იყიდოს ან გაჰყიდოს კირი. ამის გამო ხაშლამამ იცის არა თუ მუშტარი კირისა, არამედ ისიც-კი არ გამოეპარება, რომელ დღეს რამდენი ურემი უნდა ჩამოვიდეს ძეგვიდამ, კოდიდამ, კავთიხევიდამა თუ სხვა სოფლებიდამ.

ეს ხაშლამა თავის ავან-ჩავანებით ისე ატრიალებენ თავიანთ ხელში კირის ვაჭრობასა, თითქო მეშის ბურთი იყოსო: რა ფასადაც უნდათ, იმ ფასად ყიდულობენ, და როგორც უნდათ, ისე ასაღებენ მუშტარზე. გლეხი ვერას გამორჩენილა თავის ნაწარმოებისაგან და მუშტარს ვერ უშოვნია კირი იაფად. ხაშლამა-კი უარარაოდ ივსებს თავის ჯიბე-უბესა და თანაც ისე, რომ იმის საქციელს ვერა ჰხედავს ისა, ვინც უნდა ალაგმოს ასეთი უწესოება.

*** 29 ოქტომბერს წყნეთის ქუჩაზე, ტერ-ასატუროვისა და ამხანაგობის წუმწუმის ქარხანაში, დილის ათს საათზე, წუმწუმის საწყობს გაუჩნდა ცეცხლი. ამ დროს იქა მუშაობდა ახალგაზრდა ყმაწვილი, სანდრო ჯავაშვილი, 16 წლისა. ცეცხლი უცებ ავარდა და ეცა ამ მუშასა. ჯავაშვილმა ვერ მოასწრო გამოსვლა. ცეცხლი მოედო ტანთ-საცმელს და ძლივს გააქრეს. ჯავაშვილს დასწვია გული, მკლავი და ცხვირ-პირი. გულ-შეღონებული მუშა გამოათრიეს და დააგდეს ერთის დუქნის წინა პატრონი არავინა სჩანდა. ქარხნის მმართველნი არა თუ ექიმის მოსაწოდებლად არ წასულან, პოლიციასაც არ შეატყობინეს ეს უბედურება. ჯამაშვილი ამ ქარხნის მუშა იყო; დღეში სულ ხუთს შაურად მუშაობდა, როცა ჯანზე იყო. დამახინჯებული კაცი უფრო ძნელად იშოვის სამუშაოს. ასეთი მერმისი უდგას წინ ამ დამწვარსა ტერ-ასატუროვის ქარხნის გამო. ვნახოთ, რას იფიქრებენ ამ ქარხნის პატრონები საცოდავს მუშაზე. ჯერ-კი საბრალოს ექიმობა ეჭირვება.

*** ქართლი: ეს ერთი კვირაა, რაც განუწყვეტლივ სწვიმს; ავდრებმა ხალხი ძალიან უკან შეაყენა: ვერარა გააქვთ-რა ქალაქ ადგილებში გასაყიდად; მაინც წელს ძალიან იკლო უცხო ქვეყნებში სხვა-და-სხვა ნაჭირნახულევის გატანამ. წელს თითქმის არ გაუჭაჭანიათ პურისა და სხვა ხორბლეულობის ვაჭრებსა. გაზაფხულზე ცოტაოდენი ნიორი გავიდა; ამ შემოდგომაზე ხილს ეზიდებიან მხოლოდ ოდესაში და კომბოსტოს ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა ქალაქებში. ფასებმა ცოტა იმატა პურზე და ქერზე.

*** გორი: ადრევაც გვქონდა ლაპარაკი—კარგი იქნება, რომ წიგნის მაღაზია გაიმართოს გორშიო; სასწავლებლები ბევრია, მუდამ საჭიროებენ წიგნებსა, რვეულებსა, დაფებსა და სხვა სამოსწავლო ნივთებსა; აქაური ვაჭრები წიგნზე, სულ უკანასკნელს, სამს შაურს იგებენ. ძალიან კარგს იზმენ, რომ აქაურმა ახალგაზრდებმა იკისრონ, ითავონ და გამართონ წიგნის მაღაზია. ჩვენ ყური მოვკარით, რომ სურთ ზოგიერთებს წიგნის მაღაზიის გამართვა. ღმერთმა ინებოს, რომ ეს ყურის მოკვრა გამართლებულიყოს.

*** იქიდამვე: გორის დედათა პროგიმნაზიის სამზრუნველო საბჭოს განსვენებულის ა. კვალიაშვილის გარდაცვალებით დააკლდა ერთი წევრი თავად-აზნაურების მხრივ. სასურველია, რომ ბ-ნ გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღვარმა რიგიანი კაცი დანიშნოს. ჩვენ ამისი იმედი უფრო იმიტომა გვაქვს, რომ ბ-ნ წინამძღვარს სულითა და გულით უყვარს პროგიმნაზია, გული შესტკივა იმისთვის და მხნე და მარჯვე კაცს ამოირჩევს. საზოგადოდ გორელები ასახელებენ ისეთს კაცს, რომელიც მართლა გამოსადეგია ამ საქმისათვის. ეს კაცი ბძანდება თ. ვასილ გიორგის ძე მაჩაბელი.

## პერონოსპორა

„ივერიაში“ წავიკითხე ჩვენში გავრცელებულ ვაზის ერთ გვარს ავადმყოფობაზე, რომლისათვისაც, „ივერიისავე“ სიტყვით, პერონოსპორა დაურქმევიათ. ეს ავადმყოფობა სულ რამდენიმე წელიწადია, რაც საფრანგეთში, აგუდის სამეურნეო პრაქტიკულ სკოლის ფერმაში, გამოჩნდა; მერე სხვაგან გავრცელდა და მევენახეებს ფილოქსერასა და ნაცარზე ნაკლები ზარალი არ მისცა.

ავადმყოფობის გამოჩენისათანავე იმის მოსპობის საშუალების ძებნას შეუდგნენ და დღეს ამ ვენახის სენს უებარი წამალი აქვს,—მაგრამ ვიდრე წამლობაზე რამეს ვიტყოდე, საჭიროდ მიმაჩნია მკითხველს შევატყობინო ამ ავადმყოფობის ნიშნები, რომელიც, თუ არ მოისპო, ჩვენს ვენახებს ხელიდან გამოგვაცლის.

მილდევი ანუ პერონოსპორა (peronospora vilis) ერთ გვარი სოკოა, რომელიც ამერიკიდგან არის შემოტანილი. სენი ვაზს ფოთლებში უჩნდება და ფოთოლი ხმება და სცვივა; ამ გვარად ვაზი უფოთლოდ რჩება და მაშასადამე ჭაერითაც ვეღარ საზრდოობს; ყურძენი საკმაოდ ვეღარ მწიფდება, ღვინოც მდარე გამოდის:—13° და 14° მაგივრად 5° ალკოჰოლი-ღა აქვს.

მილდევით ავადმყოფ ფოთლის ზედა პირი ალაგ-ალაგ ყვითლდება და შემდეგ დამჭკნარის ფერს იღებს; ფოთლის ქვედა პირიც იმავე ალაგას თეთრდება; თუ ავადმყოფობამ დიდხანს გასტანა, ფოთლის დაშავებული ნაწილი გამოიწვის.

ფოთლის ქვედა პირის თეთრი ნიშნები იმასა ჰნიშნავს, რომ ვაზს პერონოსპორა აქვს და პერონოსპორას კვერცხები გასჩენია ფოთოლს. ზაფხულში კვერცხები თვალით უხილავს მოძრავს მწერებს აძლევენ სიცოცხლეს, რომლებიც ქარის საშუალებით სხვა ფოთოლზე გადადიან და აქ იწყობენ მუშაობას.

ბ-ნმა ვიალამ, მონპელიეს სამეურნეო სკოლის პროფესორმა, გამოიანგარიშა, რომ მილდევი ერთს ვაზზე 450,000 კვერცხსა სდებსო. აქედგან აშკარადა სჩანს, თუ რა საშიშარი მტერი გასჩენია ჩვენს ვენახებს.

ზაფხულის კვერცხი მხოლოდ ერთის წლით ახოხრებს ვენახს და ზამთრისა-კი, რომელიც ჩამოცვივნულ ფოთოლში რჩება, მწერს ავრცელებს. ეს კვერცხი სიცივის მეტად ამტანია; ბ-ნი ვიალა დარწმუნდა, რომ დიდი ყინვებიც ვერას აკლებენო.

ეს კვერცხი მომავალს ზაფხულში იჩეკება და გამოჩეკილი მწერი ქარის შეწევნით დიდს მანძილზე გადადის.

კვერცხი რომ არ მოკვდეს, შემდეგი ორი საშუალებაა საჭირო: 20°-25 სითბო და ჭაერში სინოტივე, ისე რომ სიცოცხლეს თიბათთვიდგან ენკენისთვემდის ჰპოულობენ; ხან-და-ხან მკათათვისა და მარიამობისთვის სიცხეები ავადმყოფობის გავრცელებას ხელს უშლის.

ხშირად ავადმყოფობა უფრო სხვა საშიშარს სახეს იღებს: ატმოსფერის სხვა-და-სხვა მიზეზების გამო მწერი ნელ-ნელა ვრცელდება და რადგანაც ფოთლებზე თეთრი ნიშნები არა ჩნდება, ავადმყოფობის მოსპობას არა ცდილობენ და ამ გვარად სენი შეუმჩნევლად ვრცელდება. ამ სენის სხვა გვარობა პირველად ბ-ნ ვიალამ შენიშნა და უკანასკნელს ხანებში ბ-ნ დესპეტასმა მევენახეებს ყურადღება მიაქცია იმ სოკოზე, რომელიც ჩვეულებრივად ზღვის პირად მდებარე ვენახებში ჩნდება ხოლმე სინოტივის გამო.

პირველს შესევაზე მილდევი ნაყოფს ვერას აკლებს, მაგრამ თუ ნაგვიანევია, შეიძლება მევენახე ურთველოდ დასტოვოს.

სუსტს ან ავადმყოფს ვაზს პერონოსპორა საშინლად ეტანება და ღონიერს ვაზს-კი ბევრს ვერას აკლებს.

რადგანაც ავადმყოფობის მიზეზი ზამთრის კვერცხია, იმის გაწყობა ავადმყოფობასაც მოსპობდა, მაგრამ მოსპობის ერთად-ერთი საშუალება ფოთლების დაწვაა, რაც სრულებით შეუძლებელია. თუ ისევ ცოცხალს ფოთოლში მოვინდომებთ მწერის მოსპობას, მაშინ აუცილებლად ფოთოლიც უნდა მოკვდეს, ისე რომ ზამთრის კვერცხის მოსპობა შეუძლებელია და საჭიროა ზაფხულში გამოჩეკილი როგორმე გაწყდეს. ვაზიდგან ვაზზე გადასვლის შეკვრება შეუძლებელია, თუმცა აქაური მევენახენი ბევრს ეცადნენ.

შეიძლება აგრეთვე ვაზს მიეცეს მტერთან ბრძოლის საშუალება, მაგალითად, ვენახის გარჩევა, მორწყვა, დაბარვა, გაპატივება, მაგრამ საუბედუროდ ამითი შეიძლება მტერი შესუსტდეს და სრულებით-კი ვერ მოისპოს.

ბ-ნ მილარდეტმა, ბორდოს სამეცნიერო ფაკულტეტის პროფესორმა, შემთხვევით იპოვა ავადმყოფობის მორჩენის საშუალება. 1882 წ. იმან შენიშნა, რომ სენტ-ჟულიენის გზის მახლობლად მდებარე ვენახებს ფოთოლი არა სცვიოდა; ამასთანავე ის გარემოებაც მიიღო მხედველობაში, რომ იქ და საზოგადოდ მედოკში ვენახების ავადმყოფო-

# ფელეტონი

### შავი-ქვის მრეწველობა

(დასასრული*)

წმინდა მარგანეცის მადნები იშვიათია. უფრო ხშირად სხვა-და-სხვა მინერალთან და ლითონთან არის შერეული, მაგალითად, რკინაში, ნაცარწმულის მარილში, კაჟ-მიწაში, ფოსფორში და ხანდისხან ნიკელსა და სპილენძში. ტეხნიკურ საჭიროებისათვის მომხმარებელმა უეჭველად უნდა იცოდეს, თუ რამდენი % რკინა და ფოსფორი ურევია, და თუ მომხმარებელს იგი ქიმიურ მასალად უნდა, საჭიროა იცოდეს, თუ რა და რა ერთვის Mn-ს, რამდენი ურევია ნაცარწმულოვანი მიწა. ხშირად ეს მიწა ქიმიურ შეერთებათა წინაამდეგ მოქმედობს.

როგორც ხედავთ, ყველა შავ-ქვას ერთ ნაირი თვისება არა აქვს. გასაგებად იმისა, თუ რომელი შავ-ქვა არის გამოსადეგი, ან უფრო რისთვის, ამას ქიმიურად არჩევენ. ყველაზედ მარგანეცად ცნობილია მისი $MnO^2$ რომელსაც ჰქვიან პიროლიუზიტი. შორაპნის მაზრის მადნები სწორედ ამ პიროლიუზიტით არის მდიდარი. გარდა საქართველოსი, ამ გვარი მადნები (ღირსებით და არა სიმდიდრით—სივრცით) არის გერმანიაში, სახელდობრ, მორავიაში, სილეზიასა და ბოჰემიაში; არის აგრეთვე ისპანიაში, საფრანგეთში, ახალს ზელანდიაში, ახალს კალლედონიაში, ჩრდილოეთ-ამერიკის შტატებში, იტალიასა, ავსტრიასა და ინგლისში.

გარდა პიროლიუზიტისა, არის შემდეგის წოდების მარგანეცის მადნებიც: **პსილომელენი** ჩვეულებრივის მარგანეცის მადანია. პიროლიუზიტისაგან განირჩევა მხოლოდ ფერით (მოლურჯო რკინის ფერია) და ფიქალოსებურ შენობით. **ვაადი** თვისებით წააგავს პსილომელენს, მხოლოდ ფხვიერია, რბილია, წყლოვანი, მსუბუქი და თვალთვალა. ზემოხსენებული ორივე მინერალი შეიცავს დიდს % პიროლიუზიტისას, მაგრამ ამასთან ბარიტი, კალაქვა, რკინა, კირი და მაგნეზიაც ურევია. პსილომელენს და ვაადს უფრო ქიმიურ საჭიროებისათვის ხმარობენ, რადგან სხვა ჯურის მადანზედ უფრო რბილია. რბილი და ფხვიერი მადანი უფრო მალე იხსნება მჟავე წყალში და ამისათვის ამ გვარი მადანი მექარხნეებისათვის უფრო სასარგებლოა, რადგან მჟავ-წყალი უფრო ცოტა უნდება, ვიდრე მაგარ მადანსა.

**ბრაუნიტი** ძალიან მაგარია, მოშავო რკინის ფერისაა, ბრჭყინვარეა და დამანისებრივის შენობისაა; შეიცავს უწყლო ჟანგის თვისების მარგანეცს $Mn^2O^3$. **მანგანიტი** ბრაუნიტისთანა მაგარი არ არის, განსხვავდება მისგან იმით, რომ იგი შეიცავს ჟანგის თვისების წყლოვან მარგანეცს $Mn^2O^3H^2O$,—მუქი ფოლადის ფერისაა, გადატეხილში-კი უფრო მურის ფერი ეტყობა. **გაუსმანიტი** მაგარია, მოშავო რკინის ფერისაა, ლითონურის სიბრჭყინვარესია; შვეციაში spiegelasen'-ის მოსამზადებელ მასალადა აქვთ მიღებული, ქიმიურ საჭიროებისათვის სრულიად არ ვარგა. გარდა ამისა არის კიდევ ერთ გვარი მადანი, სახელად **როდონიტი**; ჩვენში ამ ქვას უხმობენ ციმბირის ქვას, უთუოდ იმიტომ, რომ ციმბირი მართლაც მდიდარია ამ მადნით (ურალის მთებში). როდონიტი უფრო მუქი წითელი კაჟის ფერისაა. ქიმიურად უწოდებენ მას მარგანეციურ კაჟ-მარილას ($MnSiO^3$), რუსეთში ამ ქვისას სხვა-და-სხვა ნივთებს აკეთებენ და ძვირადაც იყიდება.

უფრო ბევრი მარგანეცი სჭირდებათ რკინისა და ფოლადის სადნობელ ქარხნებში. 1856 წ.-მდე რკინასა და ფოლადს სხვა-და-სხვა საშუალებით აკეთებდენ. არც ერთი ამ საშუალებათაგანი ვერ შეედრება საშუალებას ბესსემერისას, რომელმაც ძალიან გაადვილა ეს საქმე.

თუმცა დიდი ხანია აღმოჩენილია, რომ თუ კარგის ღირსებისაა საკვერავად გამოსადეგი რკინა, მასში უეჭველად მარგანეციც უნდა ერეულიყო, მაგრამ არ-კი იცოდნენ რა ზედ-მოქმედება ჰქონდა მარგანეცს რკინის გასაუმჯობესებლად. მარგანეცის თვისება გაგებულ იქმნა მხოლოდ მაშინ, როდესაც ბ-ნმა ბესსემერმა აღმოაჩინა საშუალება რკინისა და ფოლადის ადვილად გასაკეთებლად. ეს საშუალება მდგომარეობს შემდეგში:

დამდნარს თუჯს ჩაასხამენ დიდს კვერცხის მგზავსს ქვაბში, რომელსაც უწოდებენ კონვერტორს.

კონვერტორს ქვეშიდამ აქვს ცეცხლ მიუკარებელი თიხის წმინდა და მოკლე მილები; ამ მილებით ქვაბში შეჰყავთ ჰაერი, რომელიც უვლის დამდნარ თუჯს და სწვავს მასში მყოფ ნახშირ-მბადეს, გოგირდსა და ცოტა ფოსფორსაც. რკინისა და ფოლადის მისაღებად ბესსემერისაგან მოგონილი საშუალება არ იქმნებოდა საკმარისი, თუ მარგანეცისათვისაც არ მიემართათ. უმარგანეცოდ დამდნარ რკინას ანუ ფოლადს, როგორც აღმოჩნდა, ეჭირვებოდა კვერით გადაკეთება, გასწორება, ანუ ხელ-მეორედ გადადნობა, რათა ლითონი ყველგან ერთ გვარის თვისებისა ყოფილიყო.

მარგანეც ნარევ რკინა-ფოლადს ეს აღარ ეჭირვება, იგი აერთგვარებს მათ, ამკვიდრებს, ამაგრებს. გარდა ამისა მარგანეცი განმდევნელია ფოლადში მყოფ სხვა ფრიად მავნე ნარევებისა, მაგ., გოგირდისა და თითქმის ფოსფორისაც. თუ საფოლადე რკინა მარგანეც ნარევი არ არის, ამ შემთხვევაში ურევენ საკუთრად ამისათვის მომზადებულს ნადნობს მარგანეცს და ნახშირ-ნარევ რკინისას. ამ გვარი ნადნობი ორ ნაირია და ეწოდების სპიეგელეიზენი და ფერრომანგანეზი. პირველი ნადნობი შეიცავს მარგანეცს მხოლოდ 6—20%, ხოლო მეორე-კი (ფერრომანგანეზი) უფრო მდიდარია მარგანეცით და ღარიბი ნახშირ-მბადეთი—ფოლადისათვის მავნე ნივთიერებით. სპიეგელეიზენს ხმარობენ უფრო რბილ რკინისა და დაბალ ღირსების ფოლადის გასაკეთებლად,—ფერრომანგანეზს-კი მხოლოდ კარგის ღირსების ფოლადის გასაკეთებლად. ამ გვარად მომზადებულ ფოლადისას აკეთებენ ზარბაზნებს, რელსებს, ვაგონების თვლების კრკალებს, ხომალდების აპჯრებს და სხვა ნივთებს, რომელსაც სიმაგრე და სიმკვიდრე ეჭირვება.

სპიეგელეიზენი წინად მზადდებოდა მხოლოდ გერმანიაში და შვეციაში ისპანიიდამ და სარდინიიდამ მოტანილ და ადგილობრივ მყოფ რკინის მადნებიდამ, რომელიც შეიცავდა ცოტა მარგანეცსაც. შემდეგ სხვა ადგილებშიაც დაიწყეს მზადება ამ ნადნობისა, მაგალითად, საფრანგეთსა, ამერიკასა და ინგლისში. ინგლისში სპიეგელეიზენის მზადებას შეუდგნენ მხოლოდ 1870 წ., როდესაც გერმანიასა და საფრანგეთს შორის ბრძოლა იყო. ინგლისს სპიეგელეიზენი წინად გერმანიიდამ მოჰქონდა. 1870 წ. ომმა შეაჩერა გერმანიიდამ საქონლის გაზიდვა და ინგლისსაც მოაკლდა ზემოხსენებული ნადნობი.

გამოკვლეულია, რომ საუკეთესო სპიეგელეიზენი უნდა შეიცავდეს 10—

*) იხ. „ივერია“ № 224 და 225.

ბის მოსაცილებლად არეულს გოგირდიანს სპილენძსა და კირს ატრიან; ამ მოვლენიდგან გამოიყვანა, რომ ეს წამალი პერონოსპორასაც მოსპობსო. 1883 და 1884 წწ. ბევრჯელ სცადეს ეს წამალი და ყოველთვის იმის სიკეთეში რწმუნდებოდნენ; ორის წლის წამლობის შემდეგ ვაზი სრულებით თავისუფლდება.

აი რა გვარად მოქმედობს ხსენებული წამალი: ფოთოლზე რამდენიმე წვეთია არეულის გოგირდიანის სპილენძისა და კირისა; ეს წვეთი შრება და როცა წვიმა მოდის, ლხვება და ფოთოლი კირითა და სპილენძით იყღენთება.

პირველის წამლის გამოგონების შემდეგ ბევრი ამ გვარივე ამოახინეს, მაგრამ უკეთესი საშუალებაა და იავიც არის ესრედ წოდებული „ციური წყალი", რომელიც ამონიაკის და გოგირდიანის სპილენძას შერევით წარმოსდგება.

დასაწყისში ბევრს ეგონა, რომ ნაწამლის ვაზის ღვინო სპილენძიანი და მავნებელი იქნებოდა, მაგრამ დამყარებულის ანალიზის შემდეგ დარწმუნდნენ, რომ საშიში არა არის-რა. ღვინოს დუღილის შემდეგ ცოტა სპილენძს ამჩნევენ, მაგრამ სპილენძას მარილი მავნებელი არ არის.

აქ აგწერ მხოლოდ ვერმორელის იაფოსა და სადა მაშინას; ის შემდგარია სპილენძის რეზერვუარისაგან, რომელიც 8 გირვანქის სიმძიმეა და თხუთმეტ ლიტრა წამალს იტევს. ზედა პირიდამ წამალს ასხმენ; მირთან მარჯვენა მხარეზე კრანტი აქვს გაკეთებული წამლის გამოსაშვებლად; კრანტი კაუჩუკის მილთან არის შეერთებული და ამ უკანასკნელს წამალი შხაპუნასთან მიჰყავს, რომელიც ფოთლებს სწუწავს.

რეზერვუარი მუშას ზურგზე აქვს გამაგრებული და შხაპუნა ხელში უჭირავს; სანამდის რეზერვუარი სრულებით არ დაიცლება, წამალი თავის თავად იდენს, რადგანაც კრანტი რეზერვუარის მირთან არის გაკეთებული.

დასასრულ, საჭიროდ მიმაჩნია მკითხველს შევატყობინო, რომ პერონოსპორა კარტოფილსაც ისე სწყენს, როგორც ვაზსა.

პ. უ—ნი

# უცხოეთი

ამ უკანასკნელს ხანს პოლიტიკაში მაინცა და მაინც შესამჩნევი არა მომხდარა-რა, ე. ი., თუ საქმეები ისევ დახლართული და განხლებული იყო, სამაგიეროდ არავინ იცოდა, საიდგან დაიწყებდა დიპლომატიისა და პოლიტიკის სასწორი; ისეთი არა მომხდარა-რა, რის გამოისობითაც შესაძლებელი იყო გვეთქვა, თუ რომელი მიმდინარეობა პოლიტიკასა გაიმარჯვებს და რომელი დამარცხდება. აი, ეს გარემოება იყო იმის მიზეზი, რომ ევროპის მდგომარეობა ლოდივით გულზედ აწვა ყველას, ვისაც ესმოდა სახელმწიფოთა ერთმანერთს შორის დამოკიდებულება და განწყობილება. მართალია, არც ეხლა ჩაუდენიათ ისეთი რამე, რის გამოც შეგვეძლოს ვიფიქროთ, რომ ევროპა სამართლიანად იმოქმედებს და მშვიდობიანობას არ დაარღვევს, მაგრამ ზოგიერთი ნიშნები, რომელთაც იქა-იქ იჩინეს თავი, ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დიპლომატიაში ერთი ნაბიჯი მაინც წაუდგამთ წინ მას შემდეგ, რაც გავარდა ხმა, რომ გერმანიასა, ავსტრიასა და იტალიას შორის კავშირი დაიდოვო და ამ სახელმწიფოთა თანაუგრძნობს ინგლისიცაო. რასაკვირველია, ეს ხუთნი სახელმწიფონი, თუ ერთმანერთს დაუმეგობრდნენ და მოურიგდნენ, დიდს სამხედრო ძალას შეადგენენ როგორც ხმელეთზე, აგრეთვე ზღვაზე. როგორც სხვა-და-სხვა ცნობებიდგანა სჩანს, ამ სახელმწიფოთა კავშირს საგნად აქვს თავისებურად დაატრიალოს ბოლგარიის საქმე.

თვით საფრანგეთი, რომელსაც რუსეთის მოკავშირედ სთვლიდნენ, მოჰჭრიგებია ინგლისს. მართალია, ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ თუ რუსეთს სურვილი ჰქონოდა საფრანგეთს შეკავშირებოდა, კიდევაც აღასრულებდა ამას: რუსეთს სხვა-და-სხვა მიზეზის გამო საფრანგეთის მომხრეობა მაინცა და მაინც საიმედოდ და საჭიროდ არ მიაჩნია.

მხოლოდ ამ სახელმწიფოთა შეკავშირებით აიხსნება ის, რომ კალნოკიმ საქვეყნოდ აღიარა შემდეგი: „მე დიდად გაფასებ რუსეთის მეგობრობას და, იმედია, ჩვენსა და რუსეთის შორის კარგი მშვიდი განწყობილება ჩამოვარდება, მაგრამ ამას არ მოჰყვება ავსტრიის პოლიტიკის შეცვლაო". მხოლოდ ამავე კავშირით აიხსნება ოსმალეთის კადნიერება და გაბედულობა; აბა რომელი წინ-დახედული და გონიერი მმართველობა გაჰბედავდა და მიჰმართავდა რუსეთს შემდეგის საკითხავით: „განზრახვა გაქვთ თუ არა, თქვენი წინადადება შესცვალოთ ბოლგარიის შესახებ. ახლად ოსმალეთს დაუგვიწყნია, რამდენად მტკიცეა რუსეთის პოლიტიკა, რომელსაც დღემდის თავის გზიდგან არ გადაუხვევია და იმედია შემდეგაც იგივე იქნება.

# წვრილი ამბები

— ალფონს დოდე ამ ზაფხულს დიდის ენერგიით მუშაობდა ერთსა და იმავე დროს სამს ნაწარმოებზე. სწერდა დიდს რომანს, რომელსაც სახელად „L'Immortel"-ი უწოდა; ამავე დროს სწერდა პატარა მოთხრობას სოფლის ცხოვრებიდგან „Petite Paroisse" და თავის ბიოგრაფიას სახელად „Ma dauleur". რომანს სატირიული ხასიათი აქვს; მოთხრობა უფრო იდილიურად არის აღწერილი და თავის ბიოგრაფიაში-კი ავტორი მკითხველებს უამბობს თავის წარსულს სიღარიბეს სიჭაბუკისას და ეხლანდელს ავადმყოფობას. დოდე ძალიან ჯანს იტკივებს მეტის-მეტ მუშაობისა და შრომის გამო. წავიდა ის დრო, როცა ეს ნიჭიერი მწერალი დილის 4 საათზედა დგებოდა და მუშაობას დაიწყებდა ხოლმე. ეხლა დოდე უძილობისაგან შეწუხებულია და ცდილობს მორფისა და ხლორალის შეწყობით დაიძინოს და უძილობა განიდევნოს. ამ ორის საშუალის მეტის-მეტ ხმარების გამო დოდეს ხშირად ლანდი ემართება, ლანდი სმენისა და მხედველობისა, და ამიტომ უფრო დაუძლურებული.

— გეტტინგენში გარდაცვლილა ცნობილი ისტორიკოსი ლიტერატურისა, კარლ გედეკე, 73 წლისა.

— გერმანიის საიმპერიო უწყებას ფოსტისას გამოუქვეყნებია განსაკუთრებითი განკარგულება მოხელეთა შესახებ, რომ მოხელენი ყველას ზრდილობიანად და თავაზიანად უნდა მოექცნენ და მეტადრე ქალებსაო.

— მსხვერპლი მოცარტას მუსიკისა. ბარონის მეუღლე რუდილი, რომელიც ცნობილი თაყვანის-მცემელია მოცარტისა, ბევრს ეცადა თურმე, რომ როგორმე ბილეთი ეშოვნა „დონ-ჟუანის" საიუბილეო წარმოდგენისა, მაგრამ ბილეთის შოვნა ვერაფრით ვერ მოახერხა. იმ აზრს, რომ ჩემის საყვარელ კომპოზიტორის სადღესასწაულო წარმოდგენაზედ ვერ დავესწრებიო, ისე შეუწუხებია ბარონის მეუღლე, რომ შესულა თავის მოსართავს ოთახში და მორფიით მოუწამლავს თავი. მოსამსახურეს გაუგონია ქალბატონის კვნესა, გაუტეხნია შუშაბანდის კარები და გულ-წასული დედაკაცი უნახავს. დროზედ დაუძახებიათ ექიმი და სიკვდილისაგან გადაურჩენიათ გულ-წასული ქ-ნი რუდილი.

— ლონდონის „Princess-theater"-ში შემდეგი ამბავი მომხდარა წარმოდგენის დროს. წარმოდგენაში გამარჯვება ჰკლავენ. ამის გამო ისე აღელვებული ერთი მაყურებელ ქალთაგანი, რომელიც ფეხ-მძიმედ ყოფილა, რომ იქვე უშობნია უმაწვილი. თეატრის დირექტორსა და იმის მეუღლეს სურვილი გამოუცხადებიათ, რომ ჩვენ მოვნათლავთ ყველაზედ ახალგაზდა ჩვენის წარმოდგენის მაყურებელსაო.

— სპანდაუს სამკურნალოში წევს თურმე ერთი ახალგაზდა ჯარის-კაცი, რომელსაც აპრილის დამდეგიდგან სადღაც ძილითა სძინავს და დღემდე ექიმებს ვერაფრით ვერ გამოუფხიზლებიათ. დრო გამოშვებით ეს ჯარის-კაცი თვალებს ახილებს თურმე, მაგრამ ვერავის სცნობს, ნათესავებიც-კი უცხოებად ეჩვენება. პირველს სამს თვეში სადღაც ძილის დროს საშინლად გამხდარა ჯარის-კაცი, ძვლის ჩონჩხს დამგვანებია, და ამ ბოლოს დროს-კი ისევე ხორცზედ მოსულა და ლოგინზედ დამდგარა. ავადმყოფს ყოველ დღე კოვზით ასხამენ თურმე პირში წვენსა.

— ახენს ახლო პოლიციას მიუგნია ერთს გამოქვაბულში მცხოვრებისათვის. ეს გამოქვაბული ხალებით მოუფენია, საწოლი, სტოლი და სკამი დაუდგამს. ამ კაცს პოლიციას დიდხანს უდევნებია თვალ-ყური და ავაზაკი ჰგონებია. ბოლოს აღმოჩენილა, რომ გამოქვაბულში დგას თურმე უმაწვილი კაცი, კეთილშობილის შთამომავლობისაა და ნაძლევის გამო დაუწყვია გამოქვაბულში ცხოვრება.

— ამ დღეებში გარდაიცვალა საზინადარი შვეიცარიის მთავრობისა, ბ-ნი შრედერი. სიკვდილს წინად შრედერმა დახლი იანგარიშა თურმე და 120,000 მან. მეტი აღმოაჩინდა. ბევრი ეწვალა თურმე, ხელ-ახლად იანგარიშა და მაინც 16,000 მან. მეტი ჰქონდა. ამ გარემოებამ ისე ააღელვა თურმე, რომ ექიმებმა ურჩიეს სოფელში წადი სადმე და გული დაიმშვიდეო. შრედერი ამ რჩევისამებრ მოიქცა, მაგრამ აღელვების გამო გული გასკდომოდა და თორმეტის საათის შემდეგ გარდაიცვალა. ბოლოს იანგარიშეს თურ-

---

12% Mn-ს (მარგანეცს), C-ს (ნახშირბადე) არა უმეტესს 5%-სა და Si (კაჟი) არა უმეტესს 1%-სა, ამდენსავე P-ს (ფოსფორი), Cu-ს (სპილენძი) და შეუმჩნეველს რაოდენობას გოგირდისას.

რადგან ეს ნადნობი მხოლოდ დაბალის ღირსების რკინისა და ფოლადის გასაკეთებლად არის მოსახმარი, ამისათვის აკეთებენ მხოლოდ იმ მადნებიდამ, რომელშიაც Mn ძალიან ცოტაა; თორემ მდიდარ %-იან მარგანეცის მადნების (პიროლიუზიტის) ხმარება სარფა არ არის.

პიროლიუზიტიდამ აკეთებენ ფერრომანგანეზს, რომელიც, როგორც ზევით მოგახსენეთ, უფრო კარგის ღირსების ფოლადის გასაკეთებლად არის საჭირო და შეიცავს Mn (მარგანეცს) 85%-მდე, C-ს 2—3%.

ფერრომანგანეზის გაკეთება სპიეგელეიზენის გაკეთებაზედ ძვირადა ჯდება, რადგან პირველს ეჭირვება უფრო მეტი სიმხურვალე და, მაშასადამე, ცეცხლის მოსაკიდიც უფრო მეტი უნდება

ინგლისში საკუთრად ფერრომანგანეზის მოსამზადებლად 7 ქარხანაა, რომელნიც ხმარობენ საქართველოდამ, ჩილიდამ და სხვა ადგილებიდამ მიტანილს მარგანეცსა.

რბილისა და საკვერავ ფოლადის მზადება უფრო და უფრო მატულობს, ვრცელდება, რადგან იგი ყველგან რკინის ადგილს იჭერს.

1873 წ. ინგლისში ბესსემერის საშუალებით გაკეთებულ იქმნა 500,000 ტონნი ფოლადი, 1882 წ. 2.000,000 ტონამდის ავიდა და 1885 წ. 2.600,000 ტ.

როგორც ჰხედავთ, მოთხოვნილება ფოლადეულისა ცხრა წლის განმავლობაში (1873—1882 წწ.) გაოთხკეცებულა.

თუ მივიღებთ მხედველობაში ამ უკანასკნელ ხანებში სხვა-და-სხვა სახელმწიფოების საომრად მზადებას (იარაღისათვის და სამხედრო ხომალდებისათვის ფოლადეულს ხმარობენ, ინგლისის ქარხნები უფრო ბევრს იარაღს აკეთებენ), 1885 წ. მომზადებული რაოდენობა ფოლადისა ბევრით არ აღემატება 1882 წ. მომზადებულს.

შესახებ გაკეთებულ ფოლადის რაოდენობისა ზემოთ მოყვანილ ციფრების გარდა, მე, სამწუხაროდ, არა მაქვს არავითარი ცნობა, რომ შემძლებოდა მეჩვენებინა მკითხველთათვის, თუ რამდენად შესაძლოა გავრცელდეს მოთხოვნილება მარგანეცისა. მე მგონია, ქვემოდ მოყვანილ ცნობებიდამაც შესაძლო იქმნება გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ მარგანეცის მოთხოვნილება ფოლადეულ საქმისათვის თუმცა იმატებს, ხოლო ისე არა, როგორც ზოგნი ჰფიქრობენ. ინგლისში მომზადებულა სპიეგელეიზენი და ფერრომანგანეზი:

| | | |
|---|---|---|
| 1882 წ. | — 218,192 | ტონნი |
| 1883 | — 179,500 | — |
| 1884 | — 226,286 | — |
| 1885 | — 191,230 | — |

გარდა ამისა, შავი-ქვის შარშანდელი და წლევანდელი ჩვენი მრეწველობა და ევროპის ბაზრების უმუშტრობა განა ამასვე არ გვიმტკიცებს?

მარგანეცი საჭიროა აგრეთვე გასაკეთებლად ხლორისა (კეთდება მარილოვან მჟავე-წყალაზედ მარგანეცის ზედმოქმედებით), რომელსაც სხვათა შორის ტეხნიკაში ხმარობენ სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის. უმთავრესი თვისება იმისი მდგომარეობს მაში, რომ მსწრაფლ ათეთრებს ქსოვილს. ხლორს ხმარობენ აგრეთვე საწერ ქაღალდის გასაკეთებლად, გასათეთრებლად. ხლორის გასაკეთებლად საჭიროა კარგის თვისების მარგანეცი და ამასთანავე ფხვიერი (როგორც პსილომელენი და ვაადი). სხვა ყოველ ღირსებასთან მჟავე-წყალში ადვილად გამხსნელ მარგანეცს უფრო მეტი ფასი აქვს ვიდრე წინააღმდეგ შემთხვევაში. გარდა ამისა საჭიროა, რომ მასში ნაცარ-წმულოვანი მიწა და ნაცარ-წმული, რაც შეიძლება, ცოტა იყოს.

ყველაზედ ნაკლებ ხარისხოვან მარგანეცად ცნობილია ის, რომელშიაც ურევია ნახშირ-მჟავოსანი კირი. ამ გვარის თვისების ქვა მარილოვან მჟავე-წყალსა ჰფთქავს, ავრცელებს ნახშირ-მჟავეს, მომქმედს ხლორის მომზადების წინააღმდეგ.

გამოკვლეულია, რომ ხლორი თუმცა ქსოვილს მსწრაფლ ათეთრებს, მაგრამ მსწრაფლვე აფუჭებს იმის ღირსებას. ამისათვის უკანასკნელ ხანებში ქსოვილს ათეთრებენ გამათეთრებელ კირით, რომელიც კეთდება ხლორისა და კირის საშუალებით.

ამ უკანასკნელ ხანებში ქიმიკოსთა ყურადღება მიპყრობილია იმაზედ, რომ ხლორის გაკეთების შემდეგ დარჩენილი ქვა ხელ-მეორედ გამოიყენონ და ამით აიცილონ თავიდამ მეტი ხარჯი შავი-ქვის ახალად ყიდვაზე. სხვათა შორის ღირს-შესანიშნია ბ-ნ ველდონისაგან აღმოჩენილი საშუალება ნარჩომის გამოსაყენებლად. ეს საშუალება მდგომარეობს იმაში, რომ წყლოვანი სიმჟავე მარგანეცისა და მისი მარილი კირთან ერთად მალე ჟანგდება, ე. ი. მარგანეცის სიმჟნახის თვისებისად გარდაიქცევა, რაკი მასში გაივლის ძრიელი ნაკადული ჰაერისა.

თუმცა ამ საშუალებით მოხმარებულ ნარჩომიდამ ცოტა მაინც იკარგება და ამისათვის ახალ მარგანეცის მიმატება სჭირდებათ, მაინც ეს უეჭველია შეამცირებს ახალ-ახალის მადნის მოთხოვნილებას, მით უმეტესს, რომ ველდონის საშუალებამ თან-და-თან უკვე მოიკიდა ფეხი ინგლისის ქიმიურ ქარხნებში, თან-და-თან უფრო ვრცელდება.

როგორც ჰხედავთ, შავ-ქვას ამ მხრივაც სანუგეშო მომავალი არა აქვს. დიდი ხანია თეთრ შუშეულობის გასაკეთებლადაც ხმარობენ კარგ შავ-ქვას (პიროლიუზიტს). აქაც მას უჭირავს მხოლოდ ფერ-მიმცემის ადგილი.

გამოკვლეულია, რომ ის მასალა, რომლიდამაც შუშა კეთდება, ყოველთვის შეიცავს რკინის სიმჟავეს (FeO), რომელიც შუშას მწვანე ფერს აძლევს. ამ ფერის გასაუქმებლად გამოიყენეს მარგანეცის ჟანგი, რომელსაც იის ფრად შეღებვის თვისება აქვს. ეს ფერი ზომიერ პროცესის შემდეგ აუქმებს მწვანე ფერს და შუშას ათეთრებს. ამ საჭიროებისათვის ხმარობენ ქვას—ძალიან ცოტა რკინა ნარევს.

ღირს-შესანიშნავია ისიც, რომ მარგანეცის საშუალებით შუშეულობის ღებვა იმდენად სანდო არა ყოფილა, როგორც ნიკელის საშუალებითა. ამისათვის ამ წარმოებაში ნიკელი უფრო ვრცელდება წინააღმდეგ მარგანეცისა.

—

შავი-ქვიდამ სხვა-და-სხვა საშუალებით მზადდება საღებავი წამლები: შავი—სტამბებში სახმარებლად, იის ფერი, მურის ფერი, მწვანე. სხვა მრავალ საშუალებითაც კეთდება ამ ფერის საღებავი წამლები, ასე რომ ამ საჭიროებისათვის მოთხოვნილებას არ შეუძლიან იქონიოს შავი-ქვის მრეწველობაზედ არავითარი გავლენა [5]).

განი

[5]) ვიხელმძღვანელე შემდეგის წყაროებით: Менделѣева Химія 2-й томъ, Меншуткина Анал. Химія და ბ-ნ ნიკ. ლოლობერიძის მიერ დაბეჭდილ ცნობებითა.

ავტორი

მე და აღმოჩნდა, რომ დახლის ანგარიშში სწორე ყოფილიყო.

— ამას წინად ბუდა-პეშტის სასამართლოს განუსამართლებია საქმე ფეხზედ მომუშავის ალექსანდრე ფოდორისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ შუაღამისას მავარდნოდა შეძლებულს მომუშავეს პავლე ვოლაჩეკს, ხელებით მოეჭყვლიტა, კბილებით გადაემტვრია საათის ვერცხლის მეწკვი, ამოეღო საათი და გაქცეულიყო. თუმცა დამნაშავეს არ უღიარებია დანაშაული, სასამართლოს სამის თთვით ციხე გადაუწყვეტია. სასაცილო ის არის, რომ დამნაშავის ვექილმა გამოაცხადა თურმე, მხოლოდ თუ ფოდორს აგრეთი მაგარი კბილები ჰქონდესო. დამნაშავეს ესა სწყენია, უთქვამს, რომ კბილით შუშას ვამტვრევო და სასამართლოშივე გადაუმტვრევია კბილით სქელი ყარანდაში. ვინ იცის, იქნება სწორედ ამისათვისაც გადაუწყვიტეს მოსამართლეებმა სამის თთვით ციხე.

# დეპეშა

28 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** პეტერბურგის ქალაქის საბჭოში 1885—1888 წლის ხმოსანთა არჩევანის დროს დაურღვევიათ ზოგიერთი მუხლები წესდებისა. ამის გამო სენატმა მიანდო ქალაქის «პრისუტსტვიეს» ამ საქმის გამოძიება; სენატმა განმარტა, რომ ბლანკებზე დაწერილ რწმუნების ქაღალდების აღება კანონიერი არ არისო.

**ბერლინი.** ოსმალეთსა და ჩერნოგორიას შუა ხელ-შეკრულობა საზღვრის თაობაზე უკვე ხელმოწერილია: დღეის იქით სადავო არა აქვთ-რა; ჩერნოგორია სრულიად დაკმაყოფილებულია.

**ვენა.** ბარონი გირში აცხადებს, რომ ის ხმა, ვითომ მან შესწირა ასი მილიონი ფრანკი საქველ-მოქმედო საზოგადოებათა სასარგებლოდ, ტყუილიაო.

**პეტერბურგის ბირჟა, 27-ს ოქტომბ.**

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — » | — » | 8 97 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 179 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . . . | — » | — » | 1 32 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — » | — » | 270 |
| — მეორისა . . . . . | — » | — » | 243¼ |
| გირავნობ. ფურცელნი: ტფილისის ბანკისა . . | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | — » | — » |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . | — » | — » | — » |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ(1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ოქტომბერი 31 დღით არის

**30 დღე** პარასკევი. წმ. მოწ. ზინობისა, დისა ზინობიასი და მოციქ. მარკოსისა. კათოლ. ღვთის-მსახურება იესო ქრისტეს ტანჯვასა და წამებაზედ. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-25 რიცხვი თთვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ომარ-ხანს განზრახვა ჰქონდა, რომ თავს დასცემოდა საქართველოს, გადაიდა ალაზანს 20,000 ლეკით და ტოპ-ყარაღაჯთან დაიბანაკა, 1800 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—45, ჩადის 4—44. მთვარე 26 დღისაა.

**31 დღე** შაბათი. წმ. მოციქ. სტაქისი, ლირს. სპირიდონისა და ნიკოდიმესი. სომეხ. ყოველთა წმიდათა, ძველთა და ახალთა. მუს. მე-26 რიცხვი თთვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—გენერალ-მაიორნი ლაზარევი და გულიაკოვი წავიდნენ ორის ბატალიონით სიღნაღსა და იქ დახვდათ 10,000 ქართველნი, ომარ-ხანთან საბრძოლველად განმზადებულნი, 1800 წ.—ტფილისში დაარსდა ამიერ-კავკასიის სამუსიკო საზოგადოების სასწავლებელი, 1871 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—46, ჩადის 4—45. მთვარე 27 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა . . | 3 | » |
| » 2 » | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| » » 2— | 3½ | » |
| » » 3 » | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა . . | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | » |
| მე-3 — . . | » | » |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | » |
| » 2 » | 6 | » |
| სუკი . . . . | 13 | » |
| ცხვრის ხორცი . . . | 7 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | » | » |
| » 2 » | » | » |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩ'ში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო სიდასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

### მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ | ი | ლ | ი თ | | დ | ი | ლ | ი თ |
| **ტფილისი** . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | **სამტრედია** . | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | **ყვირილა** . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| **ბეჟათუბანი**. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | **ბეჟათუბანი** | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა**. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა | ღ ა | მ ო | თ ი |
| | ს ა | ღ ა | მ ო | თ ი | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი**. . . | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია** . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | **გორი** . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი . . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| **ბათუმი** . . | 11 | 13 | — | — | **ტფილისი** . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | დ ღ | ი ს | ი | თ | | ღ ა | მ ი | თ | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ტფილისი** . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა | ღ ა | მ ო | თ ი | | დ ი | ლ ი | თ | |
| **გორი** . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | **ტფილისი** . | 8 | 24 | — | — |


# МАГАЗИНЪ
## ТОРГОВАГО ДОМА
## НИКОЛАЯ РОЖНОВА СЫНОВЬЯ

ВЪ МОСКВѢ

Никольская, Богоявленскій переулокъ.

**ФИРМА СУЩЕСТВУЕТЪ СЪ 1820 ГОДА.**

Имѣетъ въ большомъ выборѣ и лучшаго достоинства: Ленты, кружева, шелкъ, перчатки, мужскія сорочки, разную шерсть, льняную нитку, бумагу чулочную, швейную и на катушкахъ и разные игольные, галантерейные и крестьянскіе товары.

**Каталоги магазина высылаются по требованію безплатно.**

(10—2)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარია და წიგნთ-საცავი ღიაა ყოველ-დღე 11—2 საათამდე შუა-დღის უკან; ხოლო კვირა-უქმეობით 12—1 საათამდე.

**სომეხთა ნერსესიანის სასულიერო სემინარიის სამზრუნველო რჩევაში** 11 ნოემბერს, საღამოს რვა საათზე, გამართული იქმნება გაჭრობა განუმეორებლად, რათა იჯარით გაიცეს სემინარიის უძრავი საკუთრება (განსვენებულ არუთინ ოქოევის მიერ შეწირული), რომელიც იმყოფება რიყეზე, მე 46 №-რი. ამ იჯარის პირობათა შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელიარიაში ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმის დღისა, დილის 10 საათიდგან 12 საათამდე. (3—3)

ტფილისის სომეხთა სასულიერო ნერსესიანის სემინარიის სამზრუნველო რჩევის მიერ ნოემბრის 18-ს რიცხვს საღამოს 8 საათზედ გამართული იქმნება ვაჭრობა განუმეორებლად, რათა იჯარით გაიცეს სემინარიის ძველ შენობის მაღაზიები, რომელიც ზემოხსენებულ შენობის ქვემო სართულში იმყოფება. ამ იჯარის პირობათა შეტყობა შეიძლება სემინარიის სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე კვირა-უქმეთა გარდა, დილის 10-დგან 12 საათამდე. (3—3)

ავლაბრის მეიდანზე ნახშუმოვთან იყიდება **ზარბაზნის თვლები**, ქართულ ურმებისათვის გამოსაყენებელი. (3—2)

მიიღება ყოველ გვარ განცხადებათა ბეჭდვა ახლად შედგენილს

« **საქართველოს კალენდარში** »

მომავალის 1888 წლისათვის.

ფასი განცხადებათა ძლიერ იაფია; მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიას, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, ნ. ზუბალოვის სახლებში. (6—6)

ახლად შეძენილია და ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, სარაჯოვის სახლში (Дворцовая ул., домъ Сараджева) შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დედა-ენა, ი. გოგებაშვილისა . | „ | 30 |
| ბუნების კარი, მისივე . . . | „ | 75 |
| კოკორი, მისივე . . . . | „ | 10 |
| კონა, მისივე . . . . . | „ | 50 |
| ხომლი, მისივე . . . . . | „ | 30 |
| კუნწულა, მისივე . . . . | „ | 40 |
| დედანი, მისივე . . . . . | „ | 30 |
| შალვას თავ-გარდასავალი, გ. დ. ცახელისა. . . . . | „ | 20 |
| ლექსნი ილ. ჭავჭავაძისა. . . | „ | 30 |
| თხზულებანი ანტონოვისა . . | 1 | „ |
| მეფე ლირი, შექსპირისა, ნათარგ. ი. მაჩაბლისა და ი. ჭავჭავაძისა . . . . . . . . | „ | 60 |
| სამ-გვარი სიყვარული, აკაკისა . | „ | 30 |
| ვახუშტის ისტორია, დ. ბაქრაძის რედაქციით . . . . | 3 | „ |
| მშვიდი სიტყვა . . . . . | „ | 20 |
| ნაკვესი . . . . . . . | „ | 20 |
| ქართული მწერლობა: 1) გურამიშვილი . . . . | „ | 20 |
| 2) საბა სულხან ორბელიანი. | „ | 15 |
| ქართული ქრისტომატია ნასიძისა | „ | 70 |
| საქართველოს საეკკლესიო ისტორია, მ. ჯანაშვილისა. . | „ | 45 |
| საქართველოს მოკლე ისტორია, მისივე . . . . . . | „ | 60 |
| დამაკვირდი, „ივერიის“ რედაქციის გამოცემა . . . . | „ | 50 |

ისყიდება

წიგნის მაღაზიაში: ტფილისში ჩარკვიანთან, სემენარიის პირ-და-პირ, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე; გრიქუროვთან, ალექსანდრეს ბაღის პირ-და-პირ, კუკიის ხიდის ყურთან, და ქუთაისში ქილაძესთან.

ამ ახლო ხანებში დაბეჭდილი წიგნი (მხოლოდ 200)

## დასტურლამალი

მეფის ვახტანგ მეექვსისა

გამოცემული პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, ტფილისს 1886 წ.

ფასი 1 მან. 25 კაპ.

ტფილისს და ქუთაისს გარეშე ადგილებიდამ მსურველთ შეუძლიანთ პირ-და-პირ თვით გამომცემლისაგან დაიბარონ მოხსენებულ ფასად გასაგზავნის ხარჯის დაუმატებლად ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Петру Іосифовичу Умикову. Около Анчисхатской церкви въ д. Гвиніевой.


Доз. цен. Тиф. 29 октября, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.